



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის ანგარიში

2017 წელი აწსუ-სათვის იყო საკმაოდ რთული, ამავდროულად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი პერიოდი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. მიმდინარე წელს განხორციელდა ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი, როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული კუთხით. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, სტრუქტურულმა ერთეულებმა, ფაკულტეტებმა, საბჭოებმა, რთული და მნიშვნელოვანი შრომა გასწია ავტორიზაციის პროცესის მზადებისათვის. დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა ტიპის სამუშაოები, როგორც დოკუმენტაციის ასევე მატერიალური რესურსების გაუმჯობესების მიზნით. პროცესების წარმართვისათვის მზადება ჯერ კიდევ 2016 წელს დაიწყო, როდესაც გაიწერა შესასრულებელი სამუშაოების დინამიკა 2017 წელზე გაანგარიშებით. ადმინისტრაციის მხრიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 2017 წლის ბიუჯეტის რაციონალურმა დაგეგმვა-შესრულებამ, რამეთუ აღნიშნული ფინანსური გეგმით უნდა განხორციელებულიყო (დაფინანსებულიყო) უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები ავტორიზაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. გარდა ზემოაღნიშნული ვალდებულებებისა მნიშვნელოვანია სტუდენტთა და თანამშრომელთა წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება, როგორც სახელფასო-საპრემიო, ასევე სასტიბენდიო-ინფრასტრუქტურული კუთხით. ამ მხრივ განხორციელებულ ღონისძიებებს შორის მნიშვნელოვანია:

წინა წელთან მიმართებაში ფაკულტეტების ფინანსური დამოუკიდებლობის ზრდა.

საბიუჯეტო პროცესის განხორციელება ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება; საბიბლიოთეკო კორპუსის მშენებლობა.

ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და რევიზირება.

ფაკულტეტების დამოუკიდებლობის ზრდის მიზნით, 2017 წელს ბიუჯეტის მოცულობაში გაიზარდა ფაკულტეტების ხარჯვითი ლიმიტის მოცულობა, წინა წელთან მიმართებაში 600 000 ლარიდან 1 000 000 ლარამდე. ხოლო თითოეული ფაკულტეტის თანხის მოცულობა განისაზღვრა სხვადასხვა კრიტერიუმების (მათ შორის; სტუდენტთა ოდენობა, უცხოელი სტუდენტთა ოდენობა, კომერციალიზაციით მიღებული შემოსავალი, სამეცნიერო გრანტები და. ა. შ) მიხედვით, მათი მნიშვნელოვნების წონის გათვალისწინებით, რომელსაც ადგენს ფაკულტეტის ადმინისტრაცია. მიმდინარე წელს ფაკულტეტებისათვის გამოყოფილი 1 000 000 ლარის ნაცვლად, ფაქტობრივად დახარჯულია 1 200 000 ლარამდე საერთო ბიუჯეტის ფარგლებში. აღნიშნულის შესახებ ხარჯვის ინფორმაცია წარმოდგენილია ფაკულტეტების დეკანების მხრიდან წარმომადგენლობით საბჭოზე.

ვაკულტეტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით დახარჯული თანხის ზრდა დაგეგმილთან მიმართებაში, კიდევ ერთხელ ადასტურებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განწყობას ვაკულტეტების დამოუკიდებლობის (მათ შორის ფინანსური) ზრდასთან მიმართებაში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2017 წელს ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულება განხორციელდა სსიპ-ის რეალობაში, რომელშიდაც კიდევ უფრო გართულდა სახაზინო და შესყიდვის პროცედურები. ზედმეტი რეგულაციები მაქსიმალურად აფერხებს საუნივერსიტეტო პროცესის წარმართვას. აღნიშნულის მიუხედავად უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სამსახურებთან ერთად მაქსიმალურად ფრთხილად იმუშავა აღნიშნული ფინანსური გეგმის სრულყოფილად შექმნის მიზნით, ამასთან გაითვალისწინა ყველა ის შესაძლებლობა, თავისებურება თუ სირთულე რაც უმაღლესი დაწესებულების ბიუჯეტის ფორმირებასთანაა დაკავშირებული.

უპირველეს ყოვლისა ყოველწლიურად უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია ის გარემოება რომ, სასწავლო წელი არ ემთხვევა ფინანსურ (საგადასახადო) წელს, რაც გარკვეულწილად ართულებს დაგეგმილი ბიუჯეტის სიზუსტის ხარისხს, ამავდროულად იძლევა საშუალებას პროგნოზირებული შემოსავლის მიღების შესაბამისად (ფინანსური წლის მიმდინარეობისას) დააფინანსოს გასაწევი ხარჯების შესაბამისი მოცულობა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ 2017 წლის ბიუჯეტის პარამეტრების განსაზღვრა მოხდა დაგეგმვის ზოგადი პრინციპების, სსიპ-ის რეგულაციებისა და წინა წლების ბიუჯეტების დაგეგმვა-შესრულების გამოცდილების გათვალისწინებით. აღნიშნული ორგანიზაცია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის თანახმად იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდს, შესაბამისად ბიუჯეტის დაგეგმვისას გავითვალისწინეთ ყველა იმ სავარაუდო შემოსავლის მიღებისა და ხარჯების გაწევის ალბათობა რომლის განსაზღვრაც იყო შესაძლებელი დაგეგმვის პროცესში.

2017 წლის ბიუჯეტის პარამეტრების განსაზღვრა დაიწყო ჯერ კიდევ 2016 წლის აგვისტოს თვეში, როდესაც საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის პირველადი პროექტის გადაგზავნა განხორციელდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დადგენილი წესით. 2017 წლის დასაწყისში კი, აწსუ-ს ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად, საბოლოოდ მოხდა საბიუჯეტო პარამეტრების დაზუსტება. კერძოდ; ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის განსაზღვრის მიზნით დაზუსტდა 2016 - 2017 სასწავლო წლის აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა და განისაზღვრა 2017-2018 წლებში მისაღებ სტუდენტთა კონტიგენტი. აღნიშნული ინფორმაციით გახდა შესაძლებელი 2017 ფინანსურ წელს სემესტრების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობის დაზუსტება და შესაბამისი სავარაუდო შემოსავლის განსაზღვრა **ფასიანი სწავლებიდან**, იგივე პრინციპით დაიგეგმა სტუდენტთა მიერ მოპოვებული **სახელმწიფო ვაუჩერით და პროგრამული დაფინანსებით მისაღები** თანხა, ამასთან დაზუსტდა **სამეცნიერო (მათ შორის საერთაშორისო) გრანტების**, **საბიუჯეტო დაფინანსებისა და სახელმწიფო სტიბენდიის** მოცულობა, ხოლო **სხვა შემოსავლების** დაგეგმვა განხორციელდა არსებული და 2017 წლისათვის დაგეგმილი სხვა ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მისაღები შემოსავლების მიხედვით. საბოლოო ჯამში 2017 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა დასრულდა

2017 წლის იანვრის მეორე ნახევარში, სადაც ასახული იყო ყველა იმ შემოსავლის მიღების შესაძლებლობა რომელიც შეიძლებოდა მიეღო 2017 წელს ორგანიზაციას. მისაღები შემოსავლის დაგეგმისთანავე მოვახდინეთ აღნიშნული შემოსავლის შეპირისპირება იგივე მოცულობის ხარჯთან, რომელიც იმ მომენტისათვის არსებული და სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგის, დაგეგმილი შესყიდვების და გეგმით გათვალისწინებული სხვა ხარჯების დაფინანსების შესაძლებლობას იძლეოდა. შესაბამისად შესაძლებლობების მაქსიმუმზე დაგეგმილმა ბიუჯეტმა მოგვცა საშუალება ხარჯვითი ნაწილის მუხლებში თანხის მოცულობების გაზრდისა, რომლის შემცირება გარდაუვალი იქნებოდა წლის ბოლოს ფაქტობრივი ბიუჯეტის შემცირების კვალდაკვალ. ბიუჯეტი მოისმინა და შესაბამისი შენიშვნების გათვალისწინების შემდგომ დაამტკიცა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ(სენატმა).

ნებისმიერი ბიუჯეტი დაგეგმვის პრინციპებიდან გამომდინარე, შესრულების პროცესში მოითხოვს დახვეწას, სრულყოფასა და დაზუსტებას, რაც შესაბამისი ფინანსური დოკუმენტის კორექტირებითაა შესაძლებელი. ამ მხრივ არც ჩვენს მიერ დაგეგმილი ბიუჯეტი იყო გამონაკლისი, მისი შემოსავლის უმეტესი ნაწილი სტუდენტების ჩარიცხვის მოცულობაზეა დამოკიდებული. აღნიშნული ინფორმაცია ჩვენთვის ყოველწლიურად ცნობილი ხდება დაგეგმილი საბიუჯეტო წლის მესამე კვარტლის ბოლოს, რაც ბუნებრივია შემოსავლის კორექტირების ერთ ერთი მთავარი მიზეზია. ზემოთქმულიდან გამომდინარე 2017 წლის დაგეგმილ ბიუჯეტში შემოსავლის ნაწილში გასათვალისწინებელი(შესამცირებელი) გახდა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად 2017-2018 სასწავლო წელს უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობასა და მისაღები კონტიგენტის შედარებისას მიღებული ნაკლებობა, რომელიც ნაწილობრივ შეამცირა(დააბალანსა) მიმდინარე წელს ეკონომიკური საქმიანობით გეგმასთან მიმართებით გაზრდილმა შემოსავალმა, სტუდენტებზე ასათვისებელი კრედიტების დაკისრებით მიღებულმა შემოსავალმა და მობილობის პროცესში სტუდენტთა დადებითმა მოცულობამ.

საბოლოო ჯამში სტუდენტთა ჩარიცხვების, აქტიურ სტუდენტთა განსაზღვრის, საბიუჯეტო დაფინანსების, სახელმწიფო სტიბენდიანტთა და სამეცნიერო გრანტების მოცულობების დადგენით შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტის მისაღები შემოსავლის მაქსიმალური დაზუსტება, რამაც საშუალება მოგვცა ბიუჯეტის კორექტირებისა. თავიდანვე უნდა ითქვას რომ, სწორი და რეალური დაგეგმვის შედეგია ის ფაქტი, რომ ბიუჯეტის შემოსავლის მოცულობა გაიზარდა 20 370 000 ლარიდან 22 273 000 ლარამდე წლის განმავლობაში, თუმცა სიმართლე მოითხოვს აღინიშნოს რომ, კორექტირებული ბიუჯეტის მოცულობის ზრდა, ძირითადად გამოწვეული იყო საბიბლიოთეკო კორპუსის მშენებლობის თანხების კორექტირებულ გეგმაში გათვალისწინების გამო. მიმდინარე წელს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საამაყოდ უნდა ითქვას რომ დაახლოებით 10 თვეში აშენდა თანამედროვე საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, როლის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 2 200 000 ლარს. ბიუჯეტის კორექტირებისას შემოსავლების ცვლილების კვალდაკვალ ცვლილება შევიდა ეკონომიკური კლასიფიკატორის მიხედვით ხარჯის ყველა იმ მუხლში რომელთა საკასო ხარჯი კორექტირების მომენტისათვის(დეკემბრის თვეში) გაცილებით განსხვავებული იყო, ვიდრე

პირველადი დაგეგმვისას შესაბამის მუხლში განსაზღვრულ თანხაზე. 2017 წლის კორექტირებული ბიუჯეტი საბოლოო განხილვისა და დამტკიცების მიზნით წარდგენილ იქნა წარმომადგენლობით საბჭოზე 2017 წლის დეკემბრის თვეში. საბჭომ მოისმინა, დადებითად შეაფასა და დაამტკიცა იგი წარდგენილი ფორმით.

2017 წლის განმავლობაში როგორც ფაკულტეტებიდან ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან, მათი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელდა თანხების გახარჯვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მათ შორის მნიშვნელოვანია; სსმპ-თა სველი წერტილებისა და პანდუსების მოწყობა, ლიფტის მოწყობა, სამ სასწავლო კორპუსში გათბობის სისტემის მოწყობა, კომპიუტერული კლასტერების მოწყობა, ლაბორატორიების შექმნა და ა. შ. უნივერსიტეტის მხრიდან განხორციელებული მსგავსი პროექტებით ადმინისტრაცია აჩვენებს რეალურ დამოკიდებულებას ავტორიზაციის პროცესის მიმართ და ადგენს კრიტიკულ თვითშეფასებას არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და ზრუნავს მომავალში სუსტი მხარეების დაძლევის მიზნით.

2017 წელი აწსუ-სათვის ვეფქრობ იყო სწრაფი ნაბიჯები განვითარებისა და უკეთესობისაკენ. უნივერსიტეტმა არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, შეძლო მოახლოებული ავტორიზაციის მზადების პროცესში ისეთი ღონისძიებების დაფინანსება, რომელიც გათვალისწინებულია შესაბამისი სტანდარტით. ამავდროულად მნიშვნელოვანია ის გარემოება რომ, 2017 წელს გაიზარდა ფაკულტეტების დამოუკიდებლობის ხარისხი, როგორც ფინანსური თვალსაზრისით, ასევე გადაწყვეტილებების მიღების კუთხით. 2017 წელს განხორციელებული პროექტები იყო შესაძლებლობა, უნივერსიტეტის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის, და რაც მთავარია იყო მზადების პროცესი, რათა სრულყოფილად წარმოვაჩინოთ ჩვენი დადებითი მხარეები და უპირატესობები ავტორიზაციის პროცესში, და ნათლად წარვადგინოთ გეგმა სუსტი მხარეების გაუმჯობესებისა და დაძლევის მიზნით.